დაუვიწყარი შეხვედრები

ფიდელ კასტრო რუსთან და ნ. ს. ხრუშჩოვთან

— ნუთუ ფიდელ კასტრო არ ჩამოვა ჩვენთან, საქართველოში,— ამაზე ლაპარაკობდნენ, ფიქრობდნენ, ოცნებობდნენ თბილისელები.

და აი სასიხარულო ამბავი. საქართველოში მარტო კუბის რევოლუციის ბელადი კი არა, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვიც ჩამოვიდა.

ქართველმა ხალხმა გულითადი, გულუხვი მასპინძლობა გაუწია ძვირფას სტუმრებს. დაუვიწყარია ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ფიდელ კასტრო რუსის შეხვედრები რესპუბლიკის მშრომელებთან.

კვირას, დილით ფიდელ კასტრო რუსმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომლებსაც თან ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, დაათვალიერეს თბილისი. ცენტრალური მაგისტრალების გავლით ისინი ქალაქის ახალ საცხოვრებელ რაიონებს — ვაკესა და საბურთალოს ეწვივნენ.

ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ მას მოეწონა ახალი თანამედროვე ნაგებობანი, რომლებშიც ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების მოტივები აისახა. საპატიო სტუმრის ყურადღება მიიქცია მწვანე ნარგაობამ, რომელიც კიდევ უფრო ლამაზსა და მომხიბლავს ხდის რესპუბლიკის დედაქალაქს.

— ბედნიერი ვარ, — უთხრა ვ. პ. მჟავანაძეს ფიდელ კასტრო რუსმა, — რომ ქართულ მიწაზე ვართ, საშუალება გვაქვს გავეცნოთ თქვენი ხალხის შრომას, რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ ადგილებს. მუდამ გვეხსომება ის გულთბილი მიღება და სტუმართმოყვარეობა, რომელიც ჩვენ გაგვიწიეს.

საბურთალოდან ნ. ს. ხრუშჩოვი და კუბელი ხალხის წარმოგზავნილნი საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრნენ.

ფიდელ კასტროს ყურადღება მიიპყრო ელექტროგადაცემის მაღალძაბვიანი ხაზების ანძებმა. გ. დ. ჯავახიშვილი ეუბნება, რომ ელექტრობა ახლა ყველაზე შორეული მთის სოფლებშიც კი არის. საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ ბობოქარ მდინარეებზე ათობით სარაიონთაშორისო და საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურია აშენებული.

ავტომანქანების კოლონა დილომში მივიდა. აქ ნ. ს. ხრუშჩოვი, ფიდელ კასტრო და მისი თანამგზავრები გაეცნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მუშაობას. მისი დირექტორი პეტრე სოხაძე მეურნეობის მუშაობაზე ესაუბრება სტუმრებს, ამბობს, რომ აქ სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტები სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას გადიან.

ფიდელ კასტრო რუსმა შენიშნა, რომ ეს ძლიერ გონივრულია, მომავალ სპეციალისტებს მდიდარი გამოცდილება, შრომითი ჩვევები უნდა ჰქონდეთ.

კუბის პრემიერ-მინისტრს აცნობეს, რომ დილმის მეურნეობაში სწავლობდა კუბელ ჭაბუკთა ჯგუფი. ფიდელ კასტრო რუსმა უპასუხა:

— ძალიან სასიამოვნოა. დარწმუნებული ვარ, რომ მათ ბევრი სასარგებლო რამ შეიძინეს თქვენთან.

ფიდელ კასტრო რუსი და ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდნენ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობით, რომელსაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრები ეწევიან მეურნეობაში.

ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა რამდენიმე შეკითხვა მისცა ინსტიტუტის დირექტორს, ეს შეკითხვები ვაზის მოვლის აგროტექნიკას შეეხებოდა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, ფიდელ კასტრო რუსმა და მათმა თანმხლებმა ამხანაგებმა დაათვალიერეს ღვინის ქარხანა. საწარმოში ყველა ძირითად სამუშაოს სტუდენტები ასრულებენ, რომლებსაც პროფესორები, მასწავლებლები, მეღვინე სპეციალისტები ხელმძღვანელობენ.

საპატიო სტუმრებს ყველგან განსაკუთრებული გულითადობით ხვდებოდნენ.

ფიდელ კასტრო და მისი მეგობრები აღტაცებით ლაპარაკობენ ყველაფერზე, რაც საქართველოში ნახეს. ისინი აღნიშნავენ, რომ ყოველ საბჭოთა რესპუბლიკაში ბევრი რამ არის საინტერესო და თავისებური.

— თბილისში იმიტომ ჩამოვედით, რომ ძნელი იყო გვერდი აგვეხვია თქვენი დედაქალაქისათვის, — ამბობს ფიდელ კასტრო. თქვენი ქვეყანა — განთავისუფლებული ხალხის უდიდესი მიღწევების თვალსაჩინო მაგალითია, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად მოიპოვეს.

ცოტა ხნის შემდეგ, განაცხადა დასასრულ ფიდელ კასტრომ, ჩვენ სამშობლოში დავბრუნდებით. ვუამბობთ, თუ როგორი ყურადღებით ვიყავით გარემოცული საბჭოთა კავშირში, როგორი პატივით მიგვიღეს. ეს პატივისცემა, ჩემის აზრით, ყველა ჩვენს დამსახურებას აღემატება.

კუბის რევოლუციის ბელადმა დღეგრძელობა უსურვა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა და კუბელი ხალხების მეგობრობას, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, საბჭოთა კავშირისა და თავისუფლების კუნძულის ხალხთა მშვენიერ აწმყოსა და მომავალს.

4
ივნისი
სამშაბათი,
1963 წ.
№ 109 (2214)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

ВУЕТ ДРУЖБ
АРОДОВ

ორი სიურპრიზი

გასულ კვირას სპარტაკიადაში ჩაებნენ მოსწავლე-ტანმოვარჯიშეები. გუნდური ბრძოლა მიმდინარეობს ორ ჯგუფად. პირველ. უძლიერეს ჯგუფში მონაწილეობენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთისა და გორის ჭაბუკთა და გოგონათა კოლექტივები. კონკურსგარეშე გამოყავთ თავიანთი მეორე გუნდები თბილისსა და ქუთაისს. მეორე ჯგუფში გოგონათა შორის იბრძვის 13 გუნდი, ხოლო ჭაბუკთა შორის — 8.

საინტერესოა სხვა სტატისტიკური მონაცემებიც: სულ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობაში მონაწილეობს 192 მოსწავლე სპორტსმენი, მათგან 106 გოგონა და 86 ჭაბუკი. გოგონათა შორის 3 სპორტის ოსტატია, 38 პირველთანრიგოსანი, 60 მეორეთანრიგოსანი და 5 მოზარდთა თანრიგის მქონე სპორტსმენი, ჭაბუკთა შორის — 8 პირველთანრიგოსანი, 73 მეორეთანრიგოსანი და 5 მოზრდილთა თანრიგის მქონე ტანმოვარჯიშე. სპორტის ოსტატთა პროგრამის ვარჯიშებში ჭაბუკთაგან ორი სპორტსმენი გამოდის, ხოლო გოგონებისაგან — 25.

ასპარეზობა გახსნეს ჭაბუკებმა, რომლებიც გამოდიოდნენ სავალდებულო პროგრამის ვარჯიშებში. პირად ჩათვლაში ოსტატთა პროგრამაში ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად გამოვიდა თბილისელი მოსწავლე ყ. ლუდუშაური, რომელმაც სავალდებულო ვარჯიშების ჯამში დააგროვა 49,7 ქულა. რაც შეეხება მის თანაგუნდელს შ. აზარაშვილს, მას აშკარად ვერ აქვს დაძლეული აღნიშნული ვარჯიშები, რის დადასტურებაცაა მის მიერ ნაჩვენები მეტად დაბალი შედეგები, ზოგ იარაღზე შეფასების გარეშე დარჩენაც კი და სავალდებულო მრავალჭიდში დაგროვებული... 24,85 ქულა.

პირველთანრიგოსანთა შორის თითქმის მთელი შეჯიბრების მანძილზე ლიდერობდნენ თბილისელები. მხოლოდ ერთხელ, მეხუთე იარაღის გავლის შემდეგ, ლიდერთა რიგებში შევიდა გორელი ინდუაშვილი, მაგრამ საბოლოოდ მან ვერ შეძლო პოზიციების შენარჩუნება. ფინიშზე სამივე საპრიზო ადგილი კვლავ თბილისელთა ხელში აღმოჩნდა: თ. კოხრეიძე — 53,8 ქულა, გ. გასპარიანი — 52,7, გ. ტორონჯაძე და ტ. მუჩიაშვილი —52,1 თვითეულს.

მეორე თანრიგის ვარჯიშებში უძლიერესი აღმოჩნდა ქუთაისელი რ. მიქაუტაძე, რომელმაც დააგროვა 54,7 ქულა. სასიამოვნო სიურპრიზად მოგვევლინა ზუგდიდელი ნორჩი სპორტსმენი ა. ჩქოტუას წარმატება, რომელიც მხოლოდ 0,1 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს. ა. ჩქოტუა საგრძნობლად გაიზარდა გასულ წელს თბილისში გამართულ შეჯიბრებაზე გამოსვლის შემდეგ. მესამე ადგილი 54,5 ქულით დაიკავა ქუთაისელმა ვ. პეჩონკინმა.

სასიამოვნო სიურპრიზს ჰქონდა ადგილი გუნდურ ბრძოლაშიც პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის. მისი „ავტორი“ აღმოჩნდა სამხრეთ ოსეთის ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა გუნდი, რომელმაც დააგროვა 238,94 ქულა, დამაჯერებლად გაუსწრო თითქმის ყველა მეტოქეს და თბილისის I გუნდის შემდეგ (266,56 ქულა) მეორე ადგილი დაიკავა სავალდებულო პროგრამაში.

მესამე ადგილზე 226,26 ქულით გამოვიდა გორის გუნდი.

მეორე ჯგუფში ლიდერობენ: ზუგდიდი — 140,98, თელავი — 118,0 და ხაშური — 114,0 ქულა.

★

დაიწყო გუნდური ბრძოლა

ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში უჩვეულო გამოცოცხლებაა. აქ ტარდება მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. პირველ. დღეს მოსწავლე-სპორტსმენებმა საერთო ფიზმომზადების ნორმები ჩააბარეს. შეჯიბრება გუნდური პირველობით დაიწყო.

დაძაბულად მიმდინარეობდა თბილისის II და აფხაზეთის გოგონათა კოლექტივების შეხვედრა. თბილისის II გუნდმა ძნელ გამარჯვებას მიაღწია — 5:4. თბილისის I გუნდმა „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხა ქუთაისელები — 5:0. აჭარის კოლექტივმა აფხაზეთის გუნდთან შეხვედრა სპორტულად მაღალ დონეზე ჩაატარა და თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 5:1, თელაველებმა სძლიეს ფოთის გუნდს — 5:4.

საინტერესოდ წარიმართა შეხვედრები ჭაბუკთა შორის. აფხაზეთის კოლექტივმა დაამარცხა თბილისის II გუნდი — 5:3. თელაველმა სპორტსმენებმა შეხვედრა სამხრეთ ოსეთის კოლექტივთან მოიგეს ანგარიშით 5:4. თბილისის I გუნდმა კი დაამარცხა ქათაისელი სპორტსმენები — 5:0. თელაველებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. ამჯერად მათი მეტოქე იყო ფოთის გამოცდილი კოლექტივი—5:3. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ფოთი-ჭიათურა — 5:2; აჭარა II-ქუთაისი — 3:5; გორი-რუსთავი — 2:5; სამხრეთ ოსეთი-აჭარა II — 1:5; თბილისი II-გარდაბანი — 5:1: გორი-ბორჯომი — 5:1.

• • •

სურათებზე: სპარტაკიადის მონაწილენი (მარცხნივ) — I თანრიგოსანი თ. კოხრეიძე ვარჯიშის დროს; მარჯვნივ — ე. ლიბრაძე, რომელმაც მიმდინარე სპარტაკიადაზე ბატერფლაით ცურვაში გოგონათა შორის საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა.

ფოტო ი. იუნაევისა.



სპარტაკიადა
დამთავრდება
9 ივნისს

გ. სალარაძე — მსოფლიო ჩემპიონი

დამთავრდა მსოფლიოს XV ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა კავშირის მოჭიდავეებმა. გუნდურ ჩათვლაში მათ დიდი უპირატესობით დაამარცხეს ყველა მეტოქე და 39 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდნენ. საბჭოთა სპორტსმენებს გადაეცათ გარდამავალი თასი. მეორე ადგილი ტურნირში დაიკავა ბულგარეთის ნაკრებმა, ხოლო მესამე — თურქეთის გუნდმა.

უმჩატეს წონაში დაუმარცხებლად იბრძოდნენ თურქი იალმაზი და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ალიევი. პირველი ადგილის ბედი უნდა გადაეწყვიტა მათ შორის შეხვედრას. თურქმა უმნიშვნელო უპირატესობით გაიმარჯვა და ოქროს მედალი მოიპოვა.

მჩატე წონაში ყურადღების ცენტრში იყო იბრაგიმოვისა (სსრკ) და იკედას (იაპონია) ორთაბრძოლა. საბჭოთა მოჭიდავემ მოიპოვა გამარჯვება ქულებით და მასთან ჩემპიონის წოდება.

ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ქვემსუბუქ წონაში იაპონელმა ვატანაბემ. მან დაამარცხა ყველა მეტოქე, მათ შორის ფინალში ირანელი ხეიპფური და ბულგარელი კოლევი. ვატანაბე მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში.

არ გაუმართლა მსუბუქ წონაში საბჭოთა მოჭიდავეს ბერიაშვილს. მას უკანასკნელ დღეს 2 საათში სამი შეხვედრის ჩატარება მოუხდა. ორი მათგანი ბერიაშვილმა მოიგო. მესამეში, იაპონელ ხარიუდისთან, ბერიაშვილი როგორც ყოველთვის, აქტიურობდა. იაპონელმა შეძლო ერთი ქულის აღება, შემდეგ კი იგი ყრუ დაცვაზე გადავიდა. ამ ერთადერთმა ქულამ ჩემპიონის ტიტული მოუტანა იაპონელს.

გადამწყვეტი ბრძოლა სალარაძეს (ქვესაშუალო წონა) ბულგარელ დერმენჯიევთან ჰქონდა. საბჭოთა სპორტსმენმა დიდი აღმავლობით ჩაატარა შეხვედრა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია. სალარაძე გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

საშუალო წონაში გარჯიევმა (ბულგარეთი) დაამარცხა ალბული და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მას შემდეგ, რაც მედვედმა (სსრკ) მოუგო თურქ ქაფლანს, მას ფაქტიურად პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა. ფინალში საბჭოთა სპორტსმენმა დაამარცხა ბულგარელი კოსტოვი და მოიპოვა ოქროს მედალი. მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ივანიცკი, რომელმაც მოუგო ახმედოვს (ბულგარეთი) და რეზნიაკს (უნგრეთი).

* * *

ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები ასეთია: **უმჩატესი წონა** — 1. იალმაზი (თურქეთი), 2. ალიევი (სსრკ), 3. მალოვი (ბულგარეთი).

მჩატე წონა — 1. იბრაგიმოვი (სსრკ), 2. იკედა (იაპონია), 3. გეორგიევი (ბულგარეთი).

ქვემსუბუქი წონა — 1. ვატანაბე (იაპონია), 2. სეიპფური (ირანი), 3. კოლევი (ბულგარეთი).

მსუბუქი წონა — 1. ხარიუდი (იაპონია), 2. ბერიაშვილი (სსრკ), 3. ატალაი (თურქეთი).

ქვესაშუალო წონა — 1. სალარაძე (სსრკ), 2. დერმენჯიევი (ბულგარეთი), 3. ოგანი (თურქეთი).

საშუალო წონა — 1. გარჯიევი (ბულგარეთი), 2. ალბული (სსრკ), 3. მეხთიზადე (ირანი).

ქვემძიმე წონა — 1. მედვედი (სსრკ), 2. ქაფლანი (თურქეთი), 3. კოსტოვი (ბულგარეთი).

მძიმე წონა — 1. ივანიცკი (სსრკ), 2. ახმედოვი (ბულგარეთი), 3. რეზნიაკი (უნგრეთი).

ნ. დერმენჯიევი,
ჩვენი საკ. კორესპონდენტი.
სოფია.

* * *



სურათებზე: მსოფლიო ჩემპიონი გ. სალარაძე. ქვევით — მსოფლიო პირველობის პრიზიორი ზ. ბერიაშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფეხბურთელთა ტურნირზე

სპარტაკიადაში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდები დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად (6-6 გუნდი). გათამაშებაში კონკურსგარეშე მონაწილეობს თბილისის II გუნდიც. დებულების თანახმად თამაშები ტარდება წრიული სისტემით. თითეულ ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გამოსული გუნდები ერთმანეთს შორის გაითამაშებენ პირველ ადგილს, ხოლო მეორე ადგილებზე გამოსული გუნდები — III-IV ადგილებს.

შედგა I და II ტურის მატჩები. I ქვეჯგუფში თბილისის II ნაკრებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა მახარაძელი ფეხბურთელები. ასეთივე ანგარიში იქნა ფიქსირებული გორისა და რუსთავის კოლექტივების შეხვედრაში. აქ გაიმარჯვეს გორელებმა. მინიმალური ანგარიშით (1:0) ქუთაისელმა მოსწავლეებმა ძლიეს აჭარის გუნდს. ქუთაისელთა წარმატებით აღინიშნა მეორე ტურის მატჩიც. მათ დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს მახარაძელი მოსწავლეები. მეორე ტურში რუსთაველმა მოსწავლეებმა კვლავ განიცადეს დამარცხება. მათ მოუგო აჭარის გუნდმა — 2:1.

II ქვეჯგუფში სამ მატჩში ფიქსირებულ იქნა გამარჯვებები, ხოლო ერთში — ფრე. ფოთის ნაკრებმა დიდი ანგარიშით დაამარცხა ქუთაისელთა ნაკრები — 4:0, 6:0 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს თბილისის I გუნდის ფეხბურთელებმა სამხრეთ ოსეთის კოლექტივთან, ფრედ — 1:1 დამთავრდა აფხაზეთისა და გურჯაანის მოსწავლეთა შეხვედრა. მეორე ტურში აფხაზეთის კოლექტივმა მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა ჭიათურის ნაკრები.

შეჯიბრება გრძელდება.

პირველი ქულები

მოსწავლე-ფრენბურთელთა ასპარეზობის პირველი დღე სიურპრიზებით არ აღინიშნულა. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატება მოიპოვეს იმ გუნდებმა, რომლებიც ტრადიციულად გამარჯვებულთა რიგებში არიან ხოლმე. გოგონათა შორის პირველობისათვის იბრძვის 10 კოლექტივი, ხოლო ჭაბუკთა შორის — 12 გუნდი.

გოგონათა I ქვეჯგუფში გორელებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს სამხრეთ ოსეთის კოლექტივს — 3:2 (15:5, 9:15, 15:9, 13:15, 15:4). თბილისის I გუნდმა „მშრალი" ანგარიშით 3:0 (15:1, 15:3, 15:13) მოუგო წყალტუბოს ნაკრებს. ამ დღეს აჭარის გუნდი ისვენებდა. გოგონათა II ქვეჯგუფში პირველი გამარჯვებები „მშრალი" ანგარიშით (3:0) მოიპოვეს ქუთაისისა და თბილისის II კოლექტივებმა. პირველმა დაამარცხა ყვარლის (15:8, 15:6, 15:13) ნაკრები, ხოლო მეორემ — აფხაზეთის გუნდი (15:3, 15:1, 17:15). რუსთაველი ფრენბურთელები ისვენებდნენ.

შარშანდელთან შედარებით კარგი მომზადება გამოამჟღავნეს გურჯაანის ჭაბუკმა ფრენბურთელებმა. მართალია, მათ შეხვედრა ქუთაისელებთან წააგეს — 1:3 (15:12, 8:15, 17:19, 7:15), მაგრამ ჩანს, რომ კოლექტივი მომაგრდა და აღმავლობის გზაზეა. მეორე მატჩი I ქვეჯგუფში შედგა ფოთისა და თბილისის I გუნდებს შორის, სადაც იოლად გაიმარჯვეს თბილისელებმა — 3:0 (15:5, 15:4, 15:1). ამ დღეს ისვენებდა სამხრეთ ოსეთის კოლექტივი. II ქვეჯგუფში შედგა ორი მატჩი. მოგვყავს ტექნიკური შედეგები: აფხაზეთი-რუსთავი — 3:1 (15:11, 13:15, 15:7, 16:14); თბილისი II-გორი — 3:0 (15:8, 15:8, 15:8).

გუშინ შედგა II ტური.

მასპინძელთა უპირატესობით

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადამ ჭადრაკში მონაწილეთა დიდი რაოდენობა მიიზიდა. სიძლიერის მიხედვით გუნდები დაყოფილია ორ ჯგუფად. უძლიერესთა ჯგუფი თავისთავად ორ ქვეჯგუფად დაიყო. პირველ ქვეჯგუფში მოხვდნენ აფხაზეთი, ჭიათურა, ფოთი, სამხრეთ ოსეთი, თბილისი I. მეორე ქვეჯგუფში არიან ქუთაისის, გორის, აჭარის, თბილისი II და რუსთავის გუნდები.

პირველ ტურში თბილისის პირველმა გუნდმა „მშრალი" ანგარიშით მოუგო ჭიათურას — 8:0. ფოთმა სძლია სამხრეთ ოსეთს—5,5:2,5. თბილისის პირველი გუნდის ღირსებას იცავენ ც. კახაბრიშვილი, ნ. ჩიქობავა, ვ. კუპრაშვილი, ა. ბოკუჩავა, ლ. კერნოჟიცკი, ს. ძუგაევი, ვ. საკიანი, გ. ციხელაშვილი.

თბილისის მეორე გუნდს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია აჭარის მოჭადრაკეთა კოლექტივმა, მაგრამ მაინც წააგო — 3:5, გორმა მოუგო რუსთავს — 4,5:3,5. თბილისის მეორე გუნდში თამაშობენ ლ. კოროშინაძე, ც. კობაიძე, ნ. ხუბულური, ვ. ჩხენკელი, ე. ტარკმაზოვი, ა. ლიპარტელიანი, ა. არჩვაძე, გ. ვარდოსანიძე.

მეორე ჯგუფიც ორ ქვეჯგუფად არის დაყოფილი. პირველ ქვეჯგუფში ახალქალაქმა მოუგო გორის რაიონს — 2:1, ხაშურმა — გარდაბანს — 2:1, მახარაძემ — მაიაკოვსკის — 2:1, ცხაკაიამ — მარნეულს — 2:1. მეორე ქვეჯგუფში ლანჩხუთმა დაამარცხა ზესტაფონი — 2:1, ტყიბულმა — თიანეთი — 2:1, თელავმა — კასპი — 2,5:0,5, ზუგდიდმა — სამტრედია — 2,5:0,5.

მეორე ტურში კვლავ წარმატებით ითამაშეს თბილისის პირველი გუნდის მოჭადრაკეებმა. მათ მხოლოდ ერთი ქულა დაკარგეს ფოთელებთან შეხვედრაში — 7:1. აფხაზეთმა მოუგო ჭიათურას — 7,5:0,5. ქუთაისისა და გორის, აჭარისა და რუსთავის გუნდების შეხვედრაში ერთნაირი ანგარიშით 6,5:1,5-ზე გაიმარჯვეს პირველებმა.

მეორე ჯგუფში მეორე ტურმა ასეთი შედეგები მოგვცა: პირველი ქვეჯგუფი — ახალქალაქი-ახალციხე — 3:0, გარდაბანი-გორის რაიონი 2:1, ხაშური-მაიაკოვსკის რაიონი — 3:0, ცხაკაია-მახარაძე—2:1. მეორე ქვეჯგუფი — ზესტაფონი-ტყიბული — 1,5:1,5, სამტრედია-კასპის რაიონი — 3:0, ლანჩხუთი-ზუგდიდი — 2:1, თელავი-თიანეთი — 1:1 (ერთი გადადებულია).

დაძაბულ ბრძოლაში

მოსწავლე-კალათბურთელთა შეხვედრების პირველ დღეს განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა გორისა და ჭიათურის ჭაბუკთა გუნდების მატჩი. აქ მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით შეძლეს გორელებმა უპირატესობის მოპოვება — 50:49. ასევე დაძაბული აღმოჩნდა თბილისის II და ქუთაისის კოლექტივების მატჩი, სადაც საბოლოოდ თბილისელებმა მიაღწიეს გამარჯვებას — 56:53. აფხაზეთის ნაკრებმა იოლად სძლია სამხრეთ ოსეთის კალათბურთელებს — 55:25.

კალათბურთელ გოგონათა შეხვედრებიდან საინტერესოდ წარიმართა აფხაზეთისა და სამტრედიის კოლექტივების მატჩი, სადაც ძნელ ბრძოლაში პირველებმა მოიპოვეს გამარჯვება — 47:43. რუსთაველებმა დაამარცხეს ხაშურელები — 42:21, ხოლო თბილისის I გუნდმა დიდი ანგარიშით მოუგო სამხრეთ ოსეთის ნაკრებს — 58:11.

სპარტაკიადა დამთავრდება 9 ივნისს

საქართველოს მოსწავლეთა XV სპარტაკიადა

ევროპის თასზე

ბილბაოში გაიმართა მეორე წრის შეხვედრა ფეხბურთში ევროპის თასზე ესპანეთისა და ჩრ. ირლანდიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. ესპანელებმა გამოიყვანეს შემდეგი შემადგენლობა: ვისენტე, რივილია, რეიხი, პაკიტო, ეჩებერია, პაჩინი, ამანსიო, რუისი, მოროლონი, ადელარდო, კოლარი. ჩრ. ირლანდიის გუნდში თამაშობდნენ: ირვინი I, მაჯინი, ჰარვეი, მეილი, ელდერი, მაკკულოგი, ბინგჰემი, კროსანი, ირვინი II, ჰამფრი, უილსონი.

ესპანელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს პირველი ტაიმი, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს ბურთის გატანა. რამდენიმე უაღრესად ძნელი ბურთი აილო მეკარე ირვინმა.

შესვენების შემდეგ ესპანელებმა შეძლეს ანგარიშის გახსნა (ამანსიო), მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ირლანდიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ირვინმა II, გაიტანა საპასუხო გოლი — 1:1.

განმეორებითი შეხვედრა ამავე გუნდებს შორის უნდა შედგეს ბელფასტში, სადაც მასპინძლებს გარკვეული შანსი აქვთ მიიღონ მეოთხედფინალში თამაშის უფლება.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივნისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო" მოსკოვი	12	7	5	0	14—2	19
„დინამო" თბილისი	12	7	3	2	22—9	17
„ნეფტიანიკი" ბაქო	12	8	1	3	18—10	17
სკა როსტოვი	11	6	3	2	17—8	15
ცსკა	12	4	7	1	9—4	15
„ტორპედო" ქუთაისი	12	5	5	2	10—7	15
„სპარტაკი" მოსკოვი	12	6	2	4	20—13	14
„დინამო" მინსკი	11	4	6	1	14—11	14
„კაირატი" ალმა-ატა	12	6	1	5	12—13	13
„დინამო" კიევი	12	4	4	4	15—13	12
„ზენიტი" ლენინგრადი	11	4	4	3	15—16	12
„ლოკომოტივი" მოსკოვი	11	2	7	2	7—6	11
„ტორპედო" მოსკოვი	12	4	3	5	13—17	11
„შახტიორი" დონეცკი	12	3	4	5	6—10	10
„ავანგარდი" ხარკოვი	12	4	2	6	10—15	10
„კრ. სოვეტოვი" კუიბიშევი	12	3	3	6	15—16	9
„არარატი" ერევანი	12	2	3	7	11—18	7
„მოლდოვა" კიშინიოვი	12	0	7	5	8—17	7
„პახტაკორი" ტაშკენტი	12	1	2	9	10—25	4
„დინამო" ლენინგრადი	12	0	4	8	5—21	4

• • •

„ტორპედო" (მოსკოვი)-„შახტიორი" (დონეცკი) — 3:1
„დინამო" (მოსკოვი)-„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) — 2:1
„დინამო" (მინსკი)-„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 1:0
„არარატი" (ერევანი)-ცსკა — 0:1.
„ზენიტი" (ლენინგრადი)-„სპარტაკი" (მოსკოვი) — 2:1
სკა (როსტოვი)-„ნეფტიანიკი" (ბაქო) — 1:0
„პახტაკორი" (ტაშკენტი)-„დინამო" (კიევი) — 1:1
„კაირატი" (ალმა-ატა)-„მოლდოვა" (კიშინიოვი) — 2:0

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 3 ივნისი.

„დინამო" (თბილისი)-„დინამო" (ლენინგრადი) — 3:0 (0:0).

ლენინგრადი: ბელკინი, ბასკაკოვი, ტიხომიროვი, ლისტრატოვი, ვისოცკი, ხომუტოვი, აქსიონოვი (კუპრინი), მოროზოვი, კუზიაევი, პეტროვი, დვორცოვი.

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი კ. დემჩენკო (მოსკოვი).

★

კიდევ ორი ქულა

დაზვერვა და მოწინააღმდეგის სუსტი ადგილების ძიება თბილისელთა გეგმაში არ შედიოდა. გუნდმა პირველი წუთიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო თამაში. ორივე გარემარბი — მესხი და მეტრეველიც თავისუფლად გადიოდნენ ფლანგებზე, ფორვარდებთან ერთად შეტევის აქტიური წევრები იყვნენ იამანიძე, გ. სიჭინავა და ჩოხელიც კი. ლენინგრადელთა საჯარიმო მოედანზე დროდადრო თავს იყრიდა ორივე გუნდის მოთამაშეთა დაახლოებით 70 პროცენტი, მაგრამ მასპინძელთა გამუდმებულ იერიშებს აკლდა მთავარი — კარში დარტყმა. ლენინგრადელებს ძალზე უჭირდათ ბრძოლა ტექნიკურად ძლიერ მოწინააღმდეგეებთან და დაცვაში ხშირად უხდებოდათ ჩამოსვლა თავდასხმის სამეულის მოთამაშეებს, მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში მეკარე ბელკინს დიდი შიში არ გადაუტანია. ერთადერთი დარტყმა მის კარში შეასრულა კალოევმა და ისიც მხოლოდ 37-ე წუთზე. ბურთი ოდნავ აცდა კარს.

ლენინგრადელები იშვიათად გადმოდიოდნენ მოპირდაპირე ნახევარზე, მაგრამ მათი ეპიზოდური კონტრშეტევიდან ორი მომენტი იყო ისეთი, რომლებიც სულ ადვილად შეიძლებოდა დამთავრებულიყო გოლით. ტიხომიროვი და აქსიონოვი პირისპირ შერჩნენ მეკარე კოტრიკაძეს და ამ უკანასკნელმა ფეხებში ჩახტომით შეძლო მეტად სახიფათო მდგომარეობის ნეიტრალიზება.

მასპინძელთა ფორვარდების ზედმეტი „მშვიდობიანობის" წყალობით პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა და მხოლოდ თამაშის მეორე ნახევარში გამოიჩინეს მათ საჭირო აგრესიულობა. ანგარიში გახსნილ იქნა მესხის მიერ 63-ე წუთზე. მან კარგად შეარჩია ადგილი ცენტრში და მაღალ ნახტომში თავით მიწვდა ბარქაიას მიერ მოწოდებულ ბურთს. ლენინგრადელთა ნახევარმცველმა ოდნავ შეუცვალა მას მიმართულება და ბელკინის ნახტომი ამაო გამოდგა — 1:0.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბარქაია კვლავ [illegible] მარჯვენა ფლანგზე [illegible] ზე ატარა ბურთი და ზუსტად მიაწოდა კარის წინ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ კალოევს. ეს სწრაფი კომბინაცია დამთავრდა მეორე გოლით სტუმრების კარში — 2:0.

მესამე გოლი გატანილ იქნა მატჩის დასასრულს. მეტრეველმა გათამაშება დაიწყო მინდვრის სიღრმიდან. მისი საჯარიმო მოედანთან მიახლოებისას მესხი სწრაფად გაიხსნა და პარტნიორის გადაცემა დაუყოვნებლივ დაამთავრა კარში დარტყმით. ბელკინმა მოასწრო რეაგირება დარტყმაზე, მაგრამ ვერ გააჩერა ხელში ბურთი და ბარქაიამ სამამდე აიყვანა ანგარიში.

ე. ტაბუცაძე

• • •

თბილისისა და ლენინგრადის თანაკლუბელ დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 3:1.

„დინამო" (ბათუმი)-„ლორი" (კიროვაკანი)—2:0

2 ივნისს ბათუმში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა 1 ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივი დინამოელები შეხვდნენ კიროვაკანის „ლორის".

მატჩი დაიწყო სტუმრების ძლიერი, ტემპიანი იერიშებით. „დინამო" იძულებული იყო დაცვაში გადაეყვანა რამდენიმე მოთამაშე და მთელი ძალით ებრძოლა კარის უვნებელსაყოფად. წინა ხაზზე ბათუმელებს დატოვებული ჰყავდათ სულ 3 ფორვარდი, რომლებიც ყოველ შესაძლებლობას იყენებდნენ კარის ასაღებად და შორი მანძილიდან ურტყამდნენ მიზანში.

გოლი გატანილ იქნა სწორედ ასეთი ტაქტიკის წყალობით. ბათუმელთა ნახევარმცველი დიმანოვი წამით აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში და მან დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან მოულოდნელად დაარტყა კარში — 1:0.

მეორე ტაიმში სურათი გამეორდა. კიროვაკანელები კვლავ შეტევაზე იყვნენ, მაგრამ დინამოელები უნარიანად იცავდნენ თავს (რამდენიმე ძნელი ბურთი აილო მეკარე კვაჭაძემ) და სწრაფად გადადიოდნენ კონტრშეტევაზე. 41-ე წუთზე უხეში თამაშისათვის კიროვაკანელთა კარში დანიშნულ იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო. რამიშვილმა ზუსტად გამოიყენა იგი და ბათუმელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:0

ვ. მოსეშვილი

ტორპედოელები წინ მიიწევენ

ქუთაისში გუშინ ნამდვილი ზაფხულის სიცხე იდგა. ეს ძალზე აძნელებდა თამაშს, ამიტომ მატჩის ტემპი არ იყო მაღალი. ორივე გუნდის თავდამსხმელები არ იჩენდნენ საჭირო ინიციატივას და გაბედულებას მცველებთან ბრძოლის დროს, რის შედეგადაც ბურთი ძირითადად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა.

ხარკოველებმა რამდენიმეჯერ სცადეს მიეღწიათ ტერიტორიული უპირატესობისათვის, მაგრამ მათი ფორვარდები გაუვალ კედელს წააწყდნენ „ტორპედოს" დაცვის სახით, სადაც ენერგიული, მოფიქრებული თამაშით გამოირჩეოდა ოდიკაძე. ავანგარდელებმა წააგეს ეს ბრძოლა ქუთაისელთა საჯარიმო მოედანზე და შორი დისტანციიდან სცადეს მოწინააღმდეგის კარის „დაბომბვა", მაგრამ მათი დარტყმები არაზუსტი და უეფექტო იყო.

ფეხბურთის მინდვრებზე

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 3 ივნისი.

„ტორპედო" (ქუთაისი)-„ავანგარდი" (ხარკოვი) — 1:0 (0:0).

„ავანგარდი": კოლტუნი, ონიაკო, მასლენიკოვი, რიგვავა, ალექსანდროვი, ოუერედოვი, კოსტიუკი, პანოვი, პანფილოვი, კორილოვი, პრიმაკი (ზოლოტუხინი).

„ტორპედო": ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორაძე, ოდიკაძე, კუტივაძე, ნიშნიანიძე, ხაჟალია (ბულია), ხუნდაძე, სირაძე, მიროშნიკოვი, ჩხარტიშვილი.

მსაჯი ს. ოსიპოვი (მოსკოვი).

★

ტორპედოელთა შეტევები უფრო გეგმიან და შეთანხმებულ ხასიათს ატარებდა. 37-ე წუთზე გათამაშებულ იქნა სწრაფი კომბინაცია, რომელიც ძლიერი დარტყმით დაამთავრა ხუნდაძემ, მაგრამ ბურთი მოხვდა ძელს და „ავანგარდი" გადარჩა ნაღდ გოლს.

ერთადერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, გატანილ იქნა 66-ე წუთზე. რამდენიმე მცველით გარსშემორტყმული კუტივაძე გავიდა მარცხენა ფლანგზე და დროზე შენიშნა ღიად დარჩენილი ბულია. ბურთი წამსვე გადაეცა მას და მარცხენა გარემარბმა დაარტყა კარში. მეკარემ და მცველებმა დააგვიანეს და გაუშვეს ბურთი — 1:0.

გოლმა კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შეიტანა ტორპედოელთა თამაშში, მაგრამ „ავანგარდს" ჰქონდა ერთი მეტად სახიფათო მომენტი, როცა თავდამსხმელი კორილოვი პირისპირ დარჩა მეკარე ურუშაძესთან. ამ მძიმე სიტუაციაში ურუშაძემ შეძლო ბურთის აღება.

ქუთაისელებმა შეინარჩუნეს მინიმალური უპირატესობა ანგარიშში და მეტად საჭირო ქულები შესძინეს თავიანთ აქტივს.

ლ. ფაჩუაშვილი

• • •

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

საბჭოთა მოკრივეების 6 პირველი ადგილი

დამთავრდა ევროპის პირველობის გათამაშება კრივში. გასულ კვირას მოსკოვში, სპორტის სასახლეში გაიმართა ფინალური შეხვედრები. ექვსმა საბჭოთა მოკრივემ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

უმჩატეს წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა ვ. ბისტროვი (სსრკ), რომელმაც ფინალში დაამარცხა ბულგარელი ს. პანაიოტოვი. მჩატე წონაში ჩემპიონი გახდა ო. გრიგორიევი. გადამწყვეტი ბრძოლა მან მოუგო ბ. პეტრიჩს (იუგოსლავია).

ბრწყინვალედ ჩაატარა ჩემპიონატი ს. სტეპაშკინმა (ქვემსუბუქი წონა). მან ფინალამდე ყველა შეხვედრა ნოკაუტით მოიგო, ფინალში კი დაამარცხა იტალიელი ჯ. ჯირჯენტი. მსუბუქ წონაში ევროპის ჩემპიონი გახდა ი. კაიდი (უნგრეთი), რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში ძლია ბ. ნიკანოროვს. პირველ ქვესაშუალო წონაში უძლიერესი იყო პოლონელი ე. კულეი. ა. ტუმინში მეორე ადგილზე გამოვიდა.

მეორე ქვესაშუალო წონაში ევროპის ჩემპიონი მეორედ გახდა რ. ტამულისი (სსრკ). მან დაამარცხა ს. ბერტინი. ბ. ლაგუტინმა (პირველი საშუალო წონა) — შოტლანდიელი ა. უაიპერი.

ფინალურ ბრძოლაში სამჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში რუმინელი ი. მონია. პირველი ადგილი მეორე საშუალო წონაში მოიპოვა ვ. პოპენჩენკომ.

თავისებური რეკორდი დაამყარა პოლონელმა მოკრივემ ზ. პეტშიკოვსკიმ (ქვემძიმე წონა). მან მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის საპატიო ტიტული. დ. პოზნიაკი (სსრკ) მეორე ადგილზე გამოვიდა.

მძიმე წონაში პირველი იყო ი. ნემეცი (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც ფინალში მოუგო ა. აბრამოვს.

ქალების მოსინჯვა

გასულ კვირას ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში შედგა ორი საქალაქთაშორისო მატჩი ფრენბურთელ ვაჟთა შორის. პირველად მოედანზე გამოვიდნენ თბილისის „ბურევესტნიკისა" და რსფსრ-ს I ნაკრები გუნდები. რუსეთის ფედერაციის გუნდი დაკომპლექტებულია როსტოვის, გროზნოს, სვერდლოვსკისა და სხვა ქალაქების უძლიერესი ფრენბურთელებით. ამგვარად, თბილისელებს საქმე ჰქონდათ მეტად ძლიერ კოლექტივთან, რომელიც მომავალ ხალხთა III სპარტაკიადაზე რუსეთის ფედერაციის სპორტულ ღირსებას დაიცავს და ახლა მომავალი დიდი ბრძოლებისათვის ემზადება. ასეთივე ამოცანა დგას თბილისელთა წინაშეც. ფაქტიურად ისინი ხომ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს წარმოადგენენ. ამ მატჩისადმი ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ ორივე გუნდში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები იყვნენ ვ. კაჭარავა, ს. ბუინოვი (თბილისი), ვ. კალაჩიხინი და ე. საბაჩკინი (რსფსრ). პირველი პარტია სტუმრების სასარგებლოდ წარიმართა, მაგრამ ერთხანს თბილისელებმა მოახერხეს წონასწორობის აღდგენა — 11:11, თუმცა შემდეგ პარტია მაინც დასთმეს — 11:15. მეორე პარტიაში სტუმრებმა საკმაოდ დიდი სხვაობით გაზარდეს ანგარიში — 9:2, მაგრამ შემდგომში თბილისელებმა არა თუ შეამცირეს სხვაობა, არამედ გარდატეხასაც მიაღწიეს და პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 17:15. მესამე პარტიაც თბილისელთა გამარჯვებით აღინიშნა — 15:9, მაგრამ შემდეგ სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 2:2 (15:7) და ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა მეხუთე პარტიას, რომელიც ძალზე საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. პირველად სტუმრები გავიდნენ წინ — 10:7, ხოლო შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ — 13:11. ამ მომენტში რსფსრ-ს ფრენბურთელებმა გამარჯვებისადმი არა მარტო სწრაფვა, არამედ დიდი ოსტატობაც გამოამჟღავნეს და მატჩი საბოლოოდ თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 3:2 (16:14).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გუნდი ბლოკირებას დაზღვევის გარეშე მიმართავდა. სწორედ მბლოკირებელთა დაუზღვევლობის გამო მოხდა ის, რომ ჩვენმა გუნდმა მოედანი დამარცხებულმა დასტოვა.

მეორე მატჩი გაიმართა თბილისის „ბურევესტნიკის" მეორე გუნდსა და ტაშკენტის „დინამოს" შორის. გამარჯვება წილად ხვდათ ტაშკენტელებს ანგარიშით 3:1 (15:9, 12:15, 15:12, 15:9).

ფრენბურთელთა საქალაქთაშორისო შეხვედრები გრძელდება.

★

ამას წინათ თბილისში ჩატარდა კურსკისა და თბილისის პიონერთა სასახლეების ნორჩ ავტომოყვარულთა შეხვედრა კარტინგში, რომელშიც გამარჯვებულნი გამოვიდნენ ხტუმრები.

სურათზე: რბოლის ტრასაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

★

პირველად მეოთხედფინალში

დევისის თასზე ჩილესა და საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა შეხვედრამ მოსკოველ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც უკვე ვიუწყებოდით, მატჩის პირველ დღეს ანგარიში იყო 1:1. მეორე დღეს ჩატარდა წყვილთა შეხვედრა, სადაც საბჭოთა წყვილმა — ლეიუსმა და ლიხაჩოვმა როდრიგესთან და აგირესთან მძიმე ბრძოლაში საპატიო გამარჯვება მოიპოვეს — 4:6, 6:0, 1:6, 7:5, 6:2. ამ შეხვედრებში განსაკუთრებით თავი ისახელა ლიხაჩოვმა, რომელმაც თავისი ყუმბარისებური დარტყმებით გამარჯვება უზრუნველყო. ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა მესამე — დასკვნით დღეს ერთეულთა შეხვედრებს. საკმარისი იყო ერთი შეხვედრის მოგება და საბჭოთა ჩოგბურთელები მოიპოვებდნენ თასის გათამაშების მეოთხედფინალში გასვლის უფლებას. მათ არა თუ ერთი, არამედ ორივე შეხვედრა მოიგეს და საბოლოოდ მატჩი ჩილელებთან თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 4:1. ამ დღეს პირველად მოედანზე გამოვიდნენ ლეიუსი და აგირე. ლეიუსს ძალების დიდი დაძაბვა არ დასჭირებია რომ შეხვედრა მოეგო ანგარიშით 6:2, 6:3, 6:4. მოზერისა და პინტოს შეხვედრაში მხოლოდ ბოლო ორ პარტიაში იყო თანაბარი ბრძოლა. პირველი პარტია მოზერმა მოიგო დიდი სხვაობით — 6:1, ხოლო დანარჩენი ორი პარტია კი თანაბარ ბრძოლაში — 7:5, 6:4.

ამგვარად, საბჭოთა ჩოგბურთელებმა პირველად დევისის თასის გათამაშების ისტორიაში მოიპოვეს მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება. მორიგ მატჩს — 11, 12 და 13 ივნისს ჩვენი სპორტსმენები დიდ ბრიტანეთში ჩაატარებენ.

მეტი გულისყურით მოვეკიდოთ სპორტულ ტერმინებს

ამ წერილის პირველ ნაწილში მკითხველს გვსურს გავაცნოთ ხალხური პოეზიის ერთი ნიმუში, სადაც სპორტულ ტერმინებზე და ძალოსნობაში შეჯიბრებაზეა ლაპარაკი. ასეთი შეჯიბრებები, თუ იგი სავარჯიშოდ არ იყო გამიზნული, იმართებოდა ხატობაში, დღეობებზე, სხვა საზეიმო ვითარებაში და, თუმცა თვითდინების ხასიათი ჰქონდა, მაინც ერთგვარი წესრიგი იქ აუცილებლად იყო დაცული.

ხალხური ლექსი „იახსარი" ის ბრწყინვალე ნიმუშთაგანია, რომელიც სმენასაც ატკბობს და წარსულის ცოდნასაც გვძენს (იხ. „ხალხური პოეზია", საბჭოთა მწერალი. თბილისი, 1950 წ. გვ. 236). სამწუხაროდ, კრებულის შემდგენლები არ მიგვითითებენ ლექსის ჩამწერზე და არც ავტორი ვიცით, რადგან მოკრძალებულ პოეტს ლექსის ბოლოს მხოლოდ ეს აქვს ნათქვამი:

ამაგის მალექსებელი
ალვანში თუშის ქალიაო.

და აი, ეს თუშის ქალი „იახსარის" პირველ 16 სტრიქონში ასე აგვიწერს „თავენი ვაჟკაცების" სიმარჯვეს ძალოსნობაში — სიმძიმეების აწევაში:

„ლაშართან შავიყარენით
ვაჟკაცნი, ვინაც თავნია,
გარმოდგეს საწონ-ჩარექი,
კვირავ, დაუგი თვალია?
ეზიდებიან იმასა,
ვინაც რო ძალიანია.
ქვე-ქვე ბოლოსკე მე ვზივარ,
ყველას ჩემზე აქვს თვალია.
ერთმანეთს ეუბნებიან:
„აილებს იახსარია".
ავსწიე საწონ-ჩარექსა,
— ღმერთო, შენგანა ძალია.
ხუთი მავსთხოვე კვირასა,
გარმამიმეტა სამია.
სამოც ლიტრასა რკინასა
ძირს გაუყარენ ქარნია".

მივყვეთ ლექსს და პირველად ის გავარკვიოთ, რა სიმძიმე აუწევია იახსარს, ე. ი. რამდენი კილოგრამია 60 ლიტრა?

ლიტრა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა წონისა იყო, ამიტომ პასუხი მიახლოებითი იქნება. საბა განმარტავს: ლიტრა (დაახლოებით) 20 თუხტიაო. ასე თითქოს ვერაფერს გავიგებთ, რადგან არც ის ვიცით თუხტი რას უდრის. მაგრამ გავყვეთ ბოლომდე. თუხტი — 33,5 მიტყალიაო, მიტყალი — დრამნახევარია, დრამი — 6 დანგია, დანგი — 3 კერატია, კერატი — 4 ქრთილის მარცვალია, ქრთილი — შემოდგომის ქერის მარცვალია. დიახ! ჩვენს წინაპრებს ასეთი მცირე საწონიც ჰქონიათ — ერთი ქრთილის მარცვალი, ანუ პაშტა, ანუ დღევანდელი 50 მილიგრამი. და აი, ამ მილიგრამების — ქრთილის მარცვლების გადაწონა-გადაანგარიშებას ქრთილიდან თუხტამდე და შემდეგ ლიტრამდე იმ შედეგთან მივყავართ, რომ საბასდროინდელი ლიტრა 3618 გრამი ყოფილა. დაბეჯითებით ვიტყვით, შეცდომა აქ 20 გრამიც ძლივს იქნება. თუ ამას ვერწმუნეთ (აუცილებლად კი უნდა ვერწმუნოთ), გამოვა, რომ იახსარს 217 კგ აუწევია. თუ ახლა იმაშიც დავეჭვდებით, რომ იახსარი საბაზე გვიანდელი ხანის მცხოვრებია, მაშინ მივმართოთ იახსარის „თანამედროვე" მეცნიერის — ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონს". ამ ლექსიკონის მონაცემებით ლიტრა ერთგან 3564 გრამი გამოდის, მეორეგან — 3685,5 გრამი (იხ. დასახ. ლექსი, გვ. 260,357), შესაბამისად 60 ლიტრა 214 და 221 კგ-ზე ცოტა მეტია. ასე თუ ისე, იახსარს სამივე შემთხვევაში 200 კგ-ზე მეტი აუწევია. ალბათ მან ეს სიმძიმე არც აჰკრა, არც აჰიმა, არც აიტაცა. მკერდამდე ხომ აწევდა? ხომ „...გაუყარენ ქარნია?" ესეც უდიდესი ვაჟკაცობაა ძალოსნობაში უწვრთნელი კაცისათვის, რომელიც მხოლოდ სალაღობოდ, თავმოსაწონად ეჭიდებოდა რკინას.

მაგრამ „იახსარი" უფრო იმით იქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ იმ დროს თურმე ეწყობოდა გარკვეულ წესებზე დამყარებული, არბიტრთა ნებას დამორჩილებული შეჯიბრებები ძალოსნობაში, რომლის დროსაც ერთმანეთთან გაჯიბრებული ვაჟკაცები რაღაც უფორმო რკინის მახას, ან ლოდიანებს კი არ ეჭიდებოდნენ, არამედ ხელთ ჰქონიათ საგანგებოდ ამგვარი შეჯიბრებებისათვის გამზადებული იარაღი — „საწონ-ჩარექი", რომელზეც „თვალის დაგებაც", ე. ი. წონის შეცვლა ხერხდებოდა. სწორედ ამიტომ ეკითხებიან კვირას, უდავოდ, ამ შეჯიბრების მოწესეს, შუამავალს, არბიტრს:

„კვირავ, დაუგი თვალია?"

ამ მოსაზრებას ამტკიცებს ლექსის კიდევ ერთი ადგილი:

„ხუთი მავსთხოვე კვირასა,
გარმამიმეტა სამია".

ჩანს, შეჯიბრებით აღტყინებულ ვაჟკაცს ღონე ერჩის და იმაზე მეტის აწევა სურს, ვიდრე ძალი შესწევს. მაგრამ თავდაჭერილი კვირა მხოლოდ სამ წონას, სამ თვალს „იმეტებს", საერთო ჯამში 60 ლიტრას. მაშ თითეული „თვალი" 20 ლიტრა ყოფილა, ანუ 73,5 კგ-ზე ცოტა მეტი. ცხადია, ასეთ სიმძიმეს (სულ 350 კგ-ზე მეტს) იახსარი ვერ დასძლევდა. თუმცა, ვინ იცის? ეცლიათ!

როგორ გავიგოთ სიტყვა საწონ-ჩარექი? საწონი ისაა, რასაც დღეს გირს ვუწოდებთ. ჩარექი ლიტრის მეოთხედი იყო. ჩანს, ხალხმა ეს ორი ტერმინი გააერთიანა და სახელი შეარქვა იმ იარაღს, რომელიც დღევანდელი შტანგის ქართული წინაპარი უნდა იყოს. მერე და რითაა საწონ-ჩარექი შტანგაზე ულაზათო სახელი? ან რა იქნება, სულაც მოვაშოროთ თურქული წარმოშობის ჩარექი და შტანგის ადგილზე საწონი ვიხმაროთ? ხოლო „თუჯის დისკოს (თეფშის) მაგრების" ნაცვლად — თვალის დაგება? ასეც იყო: „ურემს ბორბალი მივუმაგრე" კი არა, „ურემს თვალი დავუგეო" — იტყოდნენ. როგორ გადავწყვიტოთ?

• • •

სწორედ ამ საყურადღებო, საპატიო და მძიმე საკითხის გადაწყვეტას ლამობს ახლა საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ერთი ჯგუფი, რომელიც სპორტული ტერმინების ლექსიკონზე მუშაობს. მიმდინარე წლის 10 მარტს გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნდა ამ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ნინო შიშნიაშვილის წერილი — „რა გაკეთდა სპორტულ ტერმინოლოგიაში".

მართლაც! რა გაკეთდა? როგორც წერილიდან ჩანს, ბევრი რამ გაკეთებულა. უკვე თავმოყრილია 8 ათასამდე სპორტული ტერმინი და ახლა ეს ლექსიკონი საბოლოოდ მუშავდება ჯერ ამ ინსტიტუტის საგანგებო ტერმინოლოგიურ კომისიაში, შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილებაშიც გაუწევენ რედაქციას. არ ვიცით, რა სახეს მიიღებს ეს ლექსიკონი ორი რედაქციის შემდეგ, ჯერჯერობით კი ვიტყვით, რომ, თუმცა დიდი სამუშაო ჩაუტარებიათ და საქმეც სასახელო კეთდება, მაგრამ ზოგი რამ მაინც ვერ არის ჯეროვნად დამში მოყვანილი. ამის თქმის საშუალებას თვით ნ. შიშნიაშვილის წერილი გვაძლევს. დავიწყოთ თუნდაც ისევ იმ საწონ-ჩარექიდან. თუმცა წერილში არსად არ არის მითითებული, რომ რუსული штанга ქართულში შტანგადვე დარჩო, მაგრამ იქ, სადაც ნ. შიშნიაშვილი რუსული ტერმინებისათვის მცდარი ქართული შესატყვისების მოძებნაზე ლაპარაკობს, მოჰყავს ასეთი მაგალითი: „რუსული блин (შტანგის თუჯის დისკო) ქართულად იწოდა „ბლინადო", რაც გვანიშნებს, რომ ახალ ლექსიკონში შტანგა და თუჯის დისკო უცვლელად შევლენ, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილის ავტორი ახალ შესატყვისს იხმარდა.

იქნებ აქ უცნობი თუშის ქალი დაგვეხმაროს?

ნ. შიშნიაშვილს მაგალითის სახით წერილში მოჰყავს ახალ ლექსიკონში შეტანილი 14 რუსული ტერმინი, ამდენივე ქართული შესატყვისით, რომელთაგან, თავს ნებას მივცემთ, და ოთხი ტერმინის განმარტებაში ავტორს არ დავეთანხმებით. აი ეს ტერმინები:

1. Стойка — მალაყი.

ამ სიტყვას რუსულში რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობენ (დახლი, ბიგი, სარი, ნაბული).

გიორგი ჯინჯარაძე

(დასასრული იქნება)

ნეკროლოგი

ი. გ. სომოვი

გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის ვეტერანი ივანე გრიგოლის ძე სომოვი.

ი. სომოვი დაიბადა ქ. თბილისში 1908 წელს. იგი ბავშვობიდანვე გაიტაცა ფეხბურთმა და სხვადასხვა დროს თამაშობდა „პროლეტარში", ტსპო-ში, ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, ხოლო 1930 წლიდან — თბილისის „დინამოში". ი. სომოვს არაერთხელ უთამაშია თბილისის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ნაკრებ გუნდებში და დიდი სიყვარულით სარგებლობდა ფართო სპორტულ საზოგადოებრიობაში.

ი. სომოვი იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე და საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მიღებული აქვს მთავრობის რამდენიმე ჯილდო. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ ი. სომოვი უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა მშენებელ ინჟინრად.

ი. გ. სომოვის ხსოვნა მარად დარჩება მის მეგობართა და ახლობელთა გულებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

დღეს! ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში (კიროვის სახ. პარკი) სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ო. გიგინეიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: — **„მოგზაურობა საფრანგეთის ალპებში და მონბლანზე ასვლა".** დასაწყისი 20 საათზე.

რედაქტორი ი. უგულავა.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01078